

წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. წაკითხულის გააზრების ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. ანალიტიკური წერის ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.
თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

I ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი №1

არგონავტების მითი, მიუხედავად საქართველოსთან მისი უშუალო კავშირისა, XVIII საუკუნემდე ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში არ ჩანს. ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ვარაუდია გამოთქმული. მკვლევართა უმეტესობის აზრით, მითი, რომელიც შვილთა მკვლელ კოლხ ქალს, მედეასა და მისი ქმედებით გამოწვეულ მარცხს – კოლხეთიდან ბერძენთა მიერ ოქროს საწმისის გატაცებას – გადმოგვცემდა, ქართველთათვის საკმაოდ ტრავმატული იყო. ეს იყო სწორედ ქართულ დისკურსში ამ მითოსის მიმართ „დუმილის პოზიციის“ ძირითადი მიზეზი. თუმცა, მეცნიერთა ნაწილის აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ძველმა ქართველებმა არც არაფერი იცოდნენ არგონავტების მითის შესახებ; შუა საუკუნეებში ქართველთათვის ბერძნული მითოლოგიის მთავარ წყაროს ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი ქრისტიანული მწერლობის ძეგლები წარმოადგენდა, რომლებშიც სხვადასხვა, უმეტესწილად, უარყოფით კონტექსტში იყო ნახსენები ანტიკური მითოლოგია. არგონავტების მითი ამ ძეგლებში ფაქტობრივად არ ფიგურირებს. ამ თვალსაზრისის მომხრენი მიიჩნევენ, რომ სიუჟეტმა არგონავტების შესახებ მხოლოდ XVIII საუკუნეში ევროპიდან რუსული მწერლობის გზით მოაღწია ქართველ მკითხველამდე. ასეა თუ ისე, არგონავტების მითისა და მისი მთავარი გმირის, მედეას სახის დამუშავება ქართულ ლიტერატურაში ამ პერიოდიდან იწყება.

არგონავტების მითის ერთ-ერთ პირველ დამუშავებას ვხვდებით იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“. თხზულების ენციკლოპედიური ხასიათიდან გამომდინარე, ავტორი ქართველ მკითხველს ინფორმაციას აწვდის ამ მითის შესახებ. ის თანამიმდევრულად, მხატვრული გაფორმების გარეშე გადმოგვცემს არგონავტების მითს. ნიშანდობლივია, რომ იოანე ბატონიშვილს წყაროდ მხატვრული ნაწარმოები – ევრიპიდეს „მედეა“ აქვს გამოყენებული, რაზეც მეტყველებს სიუჟეტის ფინალი – მედეას მიერ საკუთარი შვილების დახოცვა და გველემაპშებმული ეტლით კორინთოს დატოვება.

არგონავტების მითის პირველ მხატვრულ ინტერპრეტაციას თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორია“ წარმოადგენს. თეიმურაზი, იოანე ბატონიშვილისაგან განსხვავებით, მედეას შვილების მკვლელად არ გვიხატავს, ის არც თავისი ძმის მკვლელობაშია დამნაშავე. ავტორი ცდილობს, მედეა რაც შეიძლება დადებითად წარმოაჩინოს, ხაზი გაუსვას მის დაფასებულ სტატუსს საზოგადოებაში და ა. შ. ყოველივე ეს კი ქმნის მედეას სახის გააზრების ახალ მიმართულებას, რომელიც მედეას რეაბილიტაციას ისახავს მიზნად.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

XIX საუკუნის 60-იან წლებში აკაკი წერეთელმა მოჰკიდა ხელი არგონავტიკის ციკლის დამუშავებას. ამ პერიოდში, ეროვნული თვითშეგნების აღორძინების წლებში, სისხლხორცეული შეიქმნა პატრიოტული გრძნობების გაღვივება, საქართველოს ისტორიის სახელოვანი ფურცლების გახსენება. როგორც ჩანს, ანტიკური მწერლების ნაწერებში აღწერილი „ოქრომრავალი კოლხეთის“ წარმოჩენის სურვილმა სძლია შვილის მკვლელი დედის ტრაგიკულ სახეს. აკაკიმ თავის პოემაში მედეას სახის თეიმურაზისეული დადებითი გააზრება კიდევ უფრო გააძლიერა. მასთან მედეა გარეგნობითაც და სულიერადაც მშვენიერია. თუმცა მასში ჩასახული საბედისწერო სიყვარულის გრძნობა უფრო ძლიერი აღმოჩნდება და მას ბერძენი ჭაბუკი, იასონი შეუყვარდება, რომელიც კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლადაა ჩასული. ეს კი კოლხეთის ძლიერებას უთხრის სამირკველს. მედეას ძალზე უჭირს სამშობლოს ღალატი. ის აკაკი წერეთელთან საერთოდ არ გვევლინება იასონის შემწედ. აკაკი წერეთელს მედეა ძმის მკვლელადაც არ გამოჰყავს. პოეტის მიზანი იყო მედეას სრული რეაბილიტაცია, თუმცა მედეას აკაკისეულმა ინტერპრეტაციამ ამ სახის გაფერმკრთალება, ტრაგიკული შინაარსისაგან დაცლა გამოიწვია. შედეგად, აკაკისეული მედეა ვერ იქცა ამ მითოსური პერსონაჟის მაღალმხატვრულ, წარმატებულ ლიტერატურულ პორტრეტად.

ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ არგონავტების მითოსის ახლებური ინტერპრეტაციაა წარმოდგენილი. ავტორს არგონავტების მითის მხოლოდ ერთი მხარე აინტერესებს. ეს არის ოქროს ვერძის საბერძნეთიდან კოლხეთში ჩამოყვანისა და იასონის მიერ ოქროს საწმისის მოსაპოვებლად კოლხეთში ჩამოსვლის ამბავი. რომანში ვერ ვხედავთ ამ მითის ზღაპრულ ელემენტებს: ცეცხლისმფრქვეველ ხარებს, გველეშაპს და მსგავს ზებუნებრივ არსებებს. აქ მითის ერთი ნაწილი არის რომანის მთლიანი სიუჟეტის ალეგორიული გახსნის საშუალება. ავტორი ბერძენთა ქმედებებში კოლხეთის დაპყრობის გეგმას ხედავს. ვერძი კოლხეთში იმიტომ იგზავნება, რომ იქ დაიდოს ბინა. გეგმის მეორე ნაწილი იასონის ექსპედიციას, რომლის ნამდვილი მიზანი ოქროს საწმისის წამოღება კი არ არის, არამედ იასონის დაღუპვაა კოლხების ხელით. მხოლოდ იასონის სიკვდილის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი გეგმის შესამე, ფინალური ნაწილის განხორციელება – იასონზე შურისძიების საბაბით კოლხეთის დალაშქვრა. მაგრამ ბერძნების ოსტატურად დაწყობილ გეგმას მედეას იასონისადმი სიყვარული ჩაშლის. ცნობილი მითი ჭილაძის რომანში ფილოსოფიური და ეგზისტენციური საკითხების მხატვრული დამუშავების იარაღად გვევლინება. რაც შეეხება მედეას სახის ჭილაძისეულ ინტერპრეტაციას, ის რომანში „დამხმარე ქალწულის“ ტიპად გვევლინება. შესაბამისად, ეს მხატვრული სახე განსაკუთრებულად გამოკვეთილი და დრამატულად დატვირთული ამ ავტორთან არ არის.

1. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) წარმოაჩინოს არგონავტების მითის ინტერპრეტაციის სპეციფიკა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში.
- (ბ) მედეას სახის გააზრება ქართულ მწერლობაში დაუკავშიროს ლიტერატურული ჟანრების სპეციფიკას.
- (გ) მხატვრული თვალსაზრისით განიხილოს ქართული მწერლობის ის თხზულებები, რომლებშიც არგონავტების მითია ასახული.
- (დ) გადმოგვცეს ქართველ მწერალთა მიერ არგონავტების მითის აღმოჩენის ისტორია.
- (ე) გამოკვეთოს მედეას სახის ტრაგიზმი ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში.

2. რომელი მწერლის მიერ შექმნილი მედეას მხატვრული სახე მოსწონს სტატიის ავტორს ყველაზე მეტად?

(ა) იოანე ბატონიშვილის

(ბ) თეიმურაზ ბატონიშვილის

(გ) აკაკი წერეთლის

(დ) ოთარ ჭილაძის

(ე) ავტორი არ ავლენს საკუთარ სიმპათიას მედეას არცერთი სახის მიმართ.

3. რომელი ქართველი მწერლები ცდილობენ მედია წარმოაჩინონ დადებით პერსონაჟად?

- (ა) იოანე ბატონიშვილი და თეიმურაზ ბატონიშვილი
- (ბ) თეიმურაზ ბატონიშვილი და აკაკი წერეთელი
- (გ) იოანე ბატონიშვილი და ოთარ ჭილაძე
- (დ) აკაკი წერეთელი და ოთარ ჭილაძე
- (ე) ტექსტში ნახსენები ყველა მწერალი

4. ტექსტში „კალმასობიდან“ მოყვანილი პასაჟი – მედეას მიერ კორინთოს დატოვება გველემაპშებმული ეტლით – წარმოდგენილია იმის საჩვენებლად, რომ:

- (ა) მედეას სახე ამ ნაწარმოებში განსაკუთრებული მხატვრულობითაა დამუშავებული იოანე ბატონიშვილის მიერ.
- (ბ) იოანე ბატონიშვილს ეს პასაჟი ფინალის გასამძაფრებლად აქვს მოყვანილი.
- (გ) იოანე ბატონიშვილი არგონავტების მითის გადმოცემისას ლიტერატურულ წყაროს ეყრდნობა.
- (დ) იოანე ბატონიშვილი საკუთარი ფანტაზიით ამდიდრებს ტრადიციულ მითოლოგიურ სიუჟეტს.
- (ე) იოანე ბატონიშვილი არგონავტების მითის გადმოცემისას ამ მითის ზეპირი გზით მოღწეულ უძველეს ვერსიას ეყრდნობა.

5. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს მართებულად ქართველ მწერალთა დამოკიდებულებას არგონავტების მითის მიმართ?

(ა) იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ არგონავტების მითს ინფორმაციული დანიშნულება აქვს, შესაბამისად, ავტორს ზღაპრული ელემენტები თავის ნაწარმოებში საერთოდ არ შეაქვს.

(ბ) თეიმურაზ ბატონიშვილი მედეას მხატვრული სახის შექმნისას არგონავტების მითის სიუჟეტს თანამიმდევრულად, უცვლელად გადმოსცემს.

(გ) არგონავტების მითის აკაკისეული ინტერპრეტაციის შედეგად მედეას სახემ განსაკურებულად დრამატული ელფერი შეიძინა.

(დ) ჭილაძის რომანში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს არგონავტების მითის ერთი მოტივი – მედეას გაქცევა საბერძნეთში იასონის სიყვარულის გამო.

(ე) არგონავტების მითში ჭილაძე ბერძენთა მზაკვრული ჩანაფიქრის იდეას დებს და ეს მოტივი უფრო აინტერესებს, ვიდრე მედეას სახე.

6. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელია ვარაუდი?

(ა) არგონავტების მითის მიხედვით, ბერძნებმა კოლხეთიდან ოქროს საწმისი გაიტაცეს.

(ბ) შუა საუკუნეების ქართველი მკითხველისათვის ბერძნული მითოლოგიის გაცნობის წყარო ბერძნულიდან ნათარგმნი ქრისტიანული მწერლობის ძეგლები იყო.

(გ) შუა საუკუნეების ქრისტიანული მწერლობის ძეგლებში ანტიკური მითოლოგია უარყოფით კონტექსტშია წარმოდგენილი.

(დ) არგონავტების მითი ქართულ მწერლობაში XVIII საუკუნემდე არ ჩანს.

(ე) არგონავტების მითი ქართველთათვის XVIII საუკუნემდე არ იყო ცნობილი.

7. ტექსტის ბოლო აბზაცში:

- (ა) შეჯამებულია ტექსტში წარმოდგენილი მთავარი თემა.
- (ბ) ახსნილია წინა აბზაცში მოყვანილი მაგალითის არსი.
- (გ) განხილულია ტექსტის მთავარ თემასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი.
- (დ) მოყვანილია არგუმენტები წინა აბზაცში დასმული საკითხის განსამტკიცებლად.
- (ე) გაკრიტიკებულია წინა აბზაცებში განხილული საკითხები.

ტექსტი №2

გასული საუკუნის 20-იან წლებში შეკითხვას, თუ რა არის ინტელექტი, ფსიქოლოგები განსხვავებულ პასუხებს სცემდნენ, თუმცა ყველა თანხმდებოდა, რომ ინტელექტი ორ ძირითად უნარს მოიცავს: გამოცდილებით დასწავლასა და გარემოსთან ადაპტაციას. 90-იან წლებში ფსიქოლოგებმა განავრცეს ინტელექტის განსაზღვრება და ხაზი გაუსვეს კიდევ ერთი უნარის – მეტაკოგნიციის – მნიშვნელობას. მეტაკოგნიცია ადამიანის უნარია, გაიგოს და გააკონტროლოს საკუთარი ფსიქიკური პროცესები. გარემოსთან ადაპტაციის პროცესში ექსპერტები ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კულტურულ ფაქტორებს, იმდენად, რომ ფსიქოლოგიაში ახალი ტერმინიც კი დამკვიდრდა, რომელიც „კულტურული ინტელექტის“ სახელითაა ცნობილი. დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში ინტელექტის 70-მდე სხვადასხვა განსაზღვრება დასტურდება და ინტელექტის მრავალი მოდელი არსებობს.

ინტელექტის ფსიქომეტრული მოდელი მრავალი წლის განმავლობაში დომინირებდა ფსიქოლოგიაში. ამ მიდგომის მიხედვით, ინტელექტი, იგივე IQ, ფასდება ინტელექტის სტანდარტული ფსიქომეტრული ტესტებით. ამ ტიპის ტესტების მრავალფეროვნება სხვადასხვა ავტორის მიერ ინტელექტის სხვადასხვაგვარი გაგებით აიხსნება. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ინტელექტი ერთიანი, უნიტარული ფენომენია, ხოლო სხვები ინტელექტს განიხილავენ, როგორც ერთ მთავარ უნარს, რომელიც სხვადასხვა სპეციფიკური უნარისაგან შედგება. მართალია, ინტელექტის სტანდარტული ტესტებით კარგად არის შესაძლებელი უნარების მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებების დადგენა, მაგრამ ტესტების შედეგები მწირ ინფორმაციას იძლევა ამ უნარების საფუძვლად არსებული კოგნიტური ფსიქიკური პროცესების შესახებ.

ამ ხარვეზის დაძლევა და ადამიანის ინტელექტის კოგნიტურ სფეროსთან დაკავშირების მცდელობა წარმოდგენილია ინტელექტის კოგნიტურ მოდელებში. გარდნერის **მრავლობითი ინტელექტის თეორიის** თანახმად, ინტელექტი არ არის არც მხოლოდ ერთი, დაუნაწევრებელი ფენომენი და არც ცალკეული უნარების ნაკრები. ამ თეორიაში გამოყოფილია ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი უნარები, ცალკეული ინტელექტი: ლინგვისტური, ლოგიკურ-მათემატიკური, სივრცითი, მუსიკალური, სხეულებრივ-კინესთეტიკური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური და ნატურალისტური. თითოეულ მათგანს განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებაში იმისდა მიხედვით, თუ რას მიიჩნევს საჭიროდ, ღირებულად და სასარგებლოდ კონკრეტული კულტურა. გარდნერი მთლიანად არ უარყოფს სტანდარტული ფსიქომეტრული ტესტების გამოყენებას, თუმცა სხვადასხვა სახის ინტელექტის საკვლევად საჭიროდ მიიჩნევს ინტელექტზე დაკვირვებასა და მის შეფასებას მთელ რიგ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

გარდნერს მიაჩნდა, რომ გონებას მოდულარული სტრუქტურა აქვს, ანუ, მისი აზრით, შესაძლებელია ცალკეული უნარის ურთიერთგამიჯვნა, რადგან ისინი თავის ტვინის განსხვავებულ უბანთა, ანუ მოდულთა ფუნქციებს წარმოადგენს. გარდნერმა თავის ტვინში რამდენიმე ამგვარი უბნის არსებობა ივარაუდა, თუმცა სხვადასხვა ტიპის დამოუკიდებელი ინტელექტის არსებობის დამამტკიცებელი უტყუარი მონაცემები მეცნიერებს ჯერ არ წარმოუდგენიათ. მეტიც, ზოგიერთი მეცნიერი გარდნერის თეორიის მკაცრ მოდულარიზმს ეჭვქვეშ აყენებს.

მაშინ, როდესაც გარდნერი ხაზს უსვამს ინტელექტის სხვადასხვა ასპექტის დამოუკიდებლობას, სტერნბერგის სამკომპონენტო ინტელექტის თეორიაში ყურადღება სწორედ ინტელექტის ასპექტების ურთიერთქმედების ხასიათზეა გამახვილებული, რაც ინტელექტის კვლევაში წინ გადადგმული ნაბიჯია. სამკომპონენტო თეორიის თანახმად, ადამიანის ინტელექტი მოიცავს სამ უნარს, შესაბამისად, სამ ინტელექტს, ესენია: კრეატიული – გამოიყენება ახალი ტიპის პრობლემების გადაწყვეტისა და ახალი იდეების გენერირებისათვის; ანალიტიკური – გამოიყენება ჩვეული პრობლემების გადასაწყვეტად და ახალი იდეების შესაფასებლად; პრაქტიკული – გამოიყენება ყოველდღიური პრობლემების გადასაწყვეტად ცხოვრებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე.

სტერნბერგი მიიჩნევს, რომ ინტელექტის შეფასების არსებული საშუალებები – ინტელექტის სტანდარტული ტესტები – გარკვეულწილად, ცალმხრივია. ისინი, ძირითადად, ანალიტიკურ უნარებს აფასებს. ამ ინსტრუმენტებში თითქმის, ან საერთოდ არ არის გათვალისწინებული ინტელექტის კრეატიული თუ პრაქტიკული ასპექტების შეფასება. მისი აზრით, უფრო სრულყოფილი, მრავლისმომცველი სისტემების გამოყენება და დანერგვა განსაკუთრებით სასარგებლო იქნებოდა მოსწავლეთა შეფასებისა და, ზოგადად, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისათვის.

მართლაც, ერთ-ერთი საგანმანათლებლო პროექტის – „ცისარტყელას“ – ფარგლებში მოსწავლეებს ევალებოდათ ზოგადი უნარების ტესტთან (SAT) ერთად დამატებითი ტესტების შევსება. ზოგადი უნარების ტესტი, რომელიც სტანდარტული ფსიქომეტრული ტესტია, ე. წ. ანალიტიკურ უნარებს აფასებს; დამატებითი ტესტები კი გულისხმობდა როგორც პრაქტიკული, ისე კრეატიული უნარების გაზომვას. აღმოჩნდა, რომ მკვლევრებმა გაცილებით უკეთ იწინასწარმეტყველეს მოსწავლეთა საშუალო აკადემიური მოსწრება სწავლების შემდგომ საფეხურზე, კოლეჯში, როდესაც ზოგადი უნარების ტესტისა და დამატებითი ტესტების შედეგები გამოიყენეს, ვიდრე მაშინ, როდესაც მოსწავლეთა შეფასებისას მხოლოდ SAT-ის ქულებსა და სასკოლო მოსწრების საშუალო ქულებს ითვალისწინებდნენ.

8. რა არის ავტორის ძირითადი მიზანი?

- (ა) დაასაბუთოს ინტელექტის ერთიანი და სრულყოფილი განსაზღვრების საჭიროება ფსიქოლოგიაში.
- (ბ) სხვადასხვა მოდელის მიმოხილვის ფონზე წარმოაჩინოს ინტელექტის შეფასების ახალი პრინციპების უპირატესობა.
- (გ) ქრონოლოგიურ ჭრილში წარმოადგინოს, თუ როგორ იცვლებოდა ინტელექტის გაგება ფსიქოლოგიაში.
- (დ) ხაზი გაუსვას ინტელექტის შეფასების აუცილებლობას განათლებაში.
- (ე) გამოკვეთოს მეთოდოლოგიური სირთულეები ინტელექტის კვლევაში.

9. ტექსტში „ცისარტყელას“ პროექტის მაგალითი მოყვანილია იმის საჩვენებლად, რომ:

- (ა) აკადემიური მოსწრების ზუსტი წინასწარმეტყველება შეუძლებელია.
- (ბ) მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას ტრადიციულად სტანდარტული ინტელექტის ტესტებით აფასებენ.
- (გ) განათლების სისტემაში ბოლო წლებში ტესტირების ახალი, უფრო ეფექტიანი მეთოდები დაინერგა.
- (დ) ახალი, მრავლისმომცველი ტესტების საშუალებით აკადემიური მოსწრების წინასწარმეტყველება უფრო ეფექტიანია.
- (ე) კოლეჯში აკადემიური მოსწრების წინასწარმეტყველება სასკოლო ქულების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

10. ტექსტის მიხედვით, როგორია ავტორის პოზიცია?

- (ა) ავტორი იზიარებს ინტელექტის კვლევაში გარდნერის მოდულარული მიდგომის ძირითად პრინციპებს.
- (ბ) ავტორი არ ამჟღავნებს საკუთარ დამოკიდებულებას ინტელექტის არცერთი მოდელის მიმართ.
- (გ) ავტორისათვის ინტელექტის წარმოდგენილ მოდელებს შორის ყველაზე მისაღები სტერნბერგის მოდელია.
- (დ) ავტორი ინტელექტის კვლევაში ფსიქომეტრულ მოდელებს ანიჭებს უპირატესობას.
- (ე) ავტორი ინტელექტის ტესტით გაზომვის პრინციპული წინააღმდეგია, ინტელექტის კვლევაში იგი სხვა მეთოდებს ანიჭებს უპირატესობას.

11. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ინტელექტის მომავალი კვლევის მთავარი ამოცანა თავის ტვინის იმ უბნების იდენტიფიცირებაა, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ინტელექტის ფუნქციონირებაზეა პასუხისმგებელი.
- (ბ) ინტელექტის სრულყოფილი შეფასება ინტელექტის სხვადასხვა ასპექტს უნდა აერთიანებდეს.
- (გ) ინტელექტი უნივერსალური უნარია, რომლის შესასწავლად კულტურული ფაქტორების გათვალისწინება საჭირო არაა.
- (დ) ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ მკვლევრებმა საბოლოოდ ჩამოაყალიბეს ინტელექტის ერთიანი განმარტება.
- (ე) ინტელექტის განსაზღვრებაში უფრო მნიშვნელოვანია გარემოსთან ადაპტაციისა და გამოცდილებით დასწავლის უნარი, ვიდრე მეტაკოგნიტური უნარები.

12. გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელი არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) გარდნერმა თავის ტვინში სხვადასხვა ტიპის ინტელექტის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი რვა უბნის, ხოლო სტერნბერგმა – სამი უბნის არსებობა ივარაუდა.
- (ბ) გარდნერი ხაზს უსვამს ინტელექტის სხვადასხვა უნარის დამოუკიდებლობას, სტერნბერგი კი ინტელექტის ასპექტების ურთიერთქმედებაზე ამახვილებს ყურადღებას.
- (გ) როგორც გარდნერის, ისე სტერნბერგის მიერ შემოთავაზებული ინტელექტის ცნებები განსხვავდება ფსიქომეტრულ მოდელებში წარმოდგენილი ინტელექტის ცნებისაგან.
- (დ) ტექსტში განხილული ყველა მოდელი უშვებს ინტელექტის, ან მისი რომელიმე ასპექტის შეფასების შესაძლებლობას.
- (ე) ფსიქომეტრული მოდელებით ინტელექტის კოგნიტური, ფსიქოლოგიური საფუძვლების დადგენა რთულია.

13. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელშია გამახვილებული ყურადღება კულტურული ფაქტორის როლზე ინტელექტის გაგებასა და განსაზღვრებაში?

- (ა) მხოლოდ მრავლობითი ინტელექტის თეორიაში.
- (ბ) მხოლოდ სამკომპონენტური ინტელექტის თეორიაში.
- (გ) მხოლოდ ინტელექტის ფსიქომეტრულ მოდელებში.
- (დ) მრავლობითი ინტელექტის თეორიასა და ფსიქომეტრულ მოდელებში.
- (ე) სამკომპონენტური ინტელექტისა და მრავლობითი ინტელექტის თეორიებში.

14. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი?

- (ა) კრეატიული უნარები ახალი ტიპის პრობლემების გადასაწყვეტად გამოიყენება.
- (ბ) განსხვავებულ კულტურულ გარემოსთან ადაპტაციის უნარს კულტურული ინტელექტი ეწოდება.
- (გ) მეტაკოგნიცია ახალი იდეების შეფასებისა და გენერირების უნარია.
- (დ) პრაქტიკული ინტელექტი ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, გადაწყვიტოს პრობლემები იმ ცოდნის გამოყენებით, რომელიც მან გამოცდილების გზით მიიღო.
- (ე) გონების მოდულარული სტრუქტურა ნიშნავს იმას, რომ ცალკეული უნარი თავის ტვინის გარკვეულ უბანშია ლოკალიზებული.

ტექსტი №3

I ტრივიალური ფაქტია, რომ ადამიანები ხშირად ტყუიან. ზოგიერთი ტყუილი განპირობებულია კულტურული თუ სოციალური ნორმებით, ზოგიერთი ტყუილის მიზეზი არის გარკვეული უპირატესობის მოპოვების ან სხვისი ქონებისა თუ ფულის მოხვეჭის სურვილი. ვინაიდან საზოგადოებრივი ცხოვრება დიდწილად დაფუძნებულია ნდობაზე, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიმართლის თქმას. შესაბამისად, ტყუილის ამოცნობა მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ მოსამართლეებისა და გამომძიებლებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვისაც.

II ეკმანმა და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს საინტერესო ექსპერიმენტი, რომლის მიზანი ტყუილის ამოცნობის მექანიზმის შესწავლა იყო. მათ ჩაიწერეს ინტერვიუები 6-8 წლის ბავშვებსა და ზრდასრულებთან. ექსპერიმენტატორთან შეთანხმებით, როგორც ბავშვები, ისე ზრდასრულები ზოგიერთი შეკითხვის პასუხად ტყუილს ამბობდნენ. მთლიანობაში ჩაიწერეს 20 ასეთი ინტერვიუ. ამის შემდეგ ეს ინტერვიუები აჩვენეს 144 ცდისპირ სტუდენტს და სთხოვეს ამოეცნოთ, თუ როდის იტყუებოდნენ რესპონდენტები. როგორც მოსალოდნელი იყო, ზრდასრულების ტყუილის ამოცნობა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ბავშვებისა.

III ამავე ექსპერიმენტმა აჩვენა ისიც, რომ ცდისპირები, რომლებიც კარგად ახერხებდნენ გამოეცნოთ ტყუილი ბავშვების შემთხვევაში, წარმატებულნი იყვნენ ზრდასრულთა ტყუილის ამოცნობაშიც და პირიქით. ამასთან, ცდისპირთა ინტელექტის კოეფიციენტი და კულტურული კუთვნილება გავლენას არ ახდენდა ტყუილის ამოცნობის ხარისხზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქალებს უფრო უჭირდათ ტყუილის ამოცნობა როგორც ბავშვთა, ისე ზრდასრულთა ჯგუფებში. მსგავსი შედეგი ბევრმა სხვა ექსპერიმენტმაც დაადასტურა.

IV არაერთმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ტყუილის დადგენა შესაძლებელია არა მარტო ნათქვამის შინაარსზე ყურადღების გამახვილებით, არამედ და, შესაძლოა, უფრო მეტადაც, ადამიანების არავერბალურ ქცევაზე დაკვირვებით. სუბიექტის სხეული, სახის გამომეტყველება, ხმის ტემბრი ხშირად იძლევა არავერბალურ სიგნალებს, რომლებიც მიგვანიშნებს, რომ ადამიანი ტყუის. ეკმანი და ფრიზენი ამტკიცებდნენ, რომ მატყუარები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რას ამბობენ, ანუ გამონათქვამების შინაარსს და

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

ნაკლებად აკონტროლებენ საკუთარ არავერბალურ ქცევას. შესაბამისად, ადამიანის ჭეშმარიტ ემოციებსა და განზრახვებს ხშირად მისი არავერბალური სიგნალები ააშკარავებს. ამ მოვლენას ინფორმაციის „არავერბალური გადინება“ ეწოდა. ასეთი გადინების მაგალითია ის, რომ ტყუილის თქმისას სახის გარკვეული კუნთები სხვანაირად იკუმშება. გამომეტყველებაზე კიდევ უფრო მეტად არის გაძნელებული სხეულის მართვა, რომელიც ტყუილის თქმის სერიოზული ინდიკატორია. ასევე მიჩნეულია, რომ მოტყუებისას ადამიანს ეცვლება ხმის ტემბრი, ის მაღლა იწევს. ყოველივე ეს, როგორც ჩანს, უნივერსალური მოვლენაა და არ არის დამოკიდებული ადამიანის ეთნიკურ კუთვნილებაზე ან თუ კულტურის დონეზე. გარდა ამისა ის, ვინც თუნდაც ექსპერიმენტატორის თხოვნით ტყუილს ამბობს, იძლევა შედარებით უფრო მოკლე პასუხებს, მისი რეაქცია შენელებულია, ის მეტყველებაშიც, ანუ ვერბალურ დონეზეც, მეტ შეცდომას უშვებს.

V საყურადღებოა, რომ ტყუილის სწორად ამოცნობის ალბათობას არ ზრდის იმის ცოდნა, რომ დაკვირვების ობიექტი შეიძლება აპირებდეს ტყუილის თქმას. ტორისის ექსპერიმენტში მიმღები კომისიის წევრები გააფრთხილეს, რომ ერთ-ერთი კანდიდატი შეეცდებოდა, ტყუილის დახმარებით კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა დამსწრეებზე. აღმოჩნდა, რომ კომისიის ის წევრები, რომლებიც გაფრთხილებულნი არ იყვნენ, უფრო კარგად არჩევდნენ კანდიდატთა შორის მატყუარას, კომისიის გაფრთხილებულ წევრებს კი თითქმის ყველა კანდიდატის გამონათქვამებში ტყუილი ეჩვენებოდათ.

VI სხვადასხვა კვლევამ გამოავლინა პარადოქსული ვითარება: როდესაც ადამიანები მოტივირებულნი არიან შენიღბონ ტყუილი, მაშინ ტყუილის თქმის ფაქტი დამკვირვებლებისთვის კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება. მატყუარა დიდ ცნობიერ ძალისხმევას ანდომებს თავისი არავერბალური სიგნალების მართვას, მაგრამ მისთვის სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევს. მაგალითად, თუ მატყუარა ცდილობს დატოვოს გულწრფელი ადამიანის შთაბეჭდილება და ამისათვის მოსაუბრეს თვალებში უყურებს, ამყარებს მზერით კონტაქტს და ა. შ., მაშინ სხეულის პოზამ, ხმის ტემბრმა ან სახის გამომეტყველებამ შეიძლება გამოამჟღავნოს მისი დაფარული ზრახვები.

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) გააანალიზოს ტყუილის თქმის ფენომენი და მისი ძირითადი მიზეზები.
- (ბ) განიხილოს ის პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანს ტყუილის ამოცნობაში.
- (გ) შეაფასოს ტყუილის თქმასთან დაკავშირებული არავერბალური სიგნალების მნიშვნელობა.
- (დ) განიხილოს ტყუილის ამოცნობის საკითხი და მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორი.
- (ე) მიმოიხილოს ტყუილის ფენომენის კვლევასთან დაკავშირებული სირთულეები.

16. რა ჩანს ეკმანისა და მისი კოლეგების ექსპერიმენტში?

- (ა) ტყუილის თქმა თანდაყოლილი უნარია და, შესაბამისად, ზოგიერთი ადამიანი ბუნებრივად მიდრეკილია ტყუილისაკენ.
- (ბ) ტყუილის თქმა არის უნარი, რომელიც გამოცდილებასა და ასაკთან ერთად „უმჯობესდება“.
- (გ) ტყუილის კვლევასთან დაკავშირებულ ექსპერიმენტებში ბავშვების მონაწილეობა სანდო შედეგებს არ იძლევა.
- (დ) ტყუილის თქმის „წარმატებას“ სხვების მიერ მიცემული მითითებები განსაზღვრავს.
- (ე) ტყუილის თქმა და ტყუილის ამოცნობა ურთირთდაკავშირებული ფენომენებია, „კარგ მატყუარას“ უადვილდება ტყუილის ამოცნობა.

17. ტექსტის მიხედვით, ტყუილის ამოცნობაში დამკვირვებელს ხელს უწყობს შემდეგი გარემოებები:

- I. მოლაპარაკე ადამიანის მიმიკაზე დაკვირვება.
- II. წინასწარი ცოდნა იმისა, რომ ზოგიერთი მოლაპარაკე ტყუილს იტყვის.
- III. მოლაპარაკე ადამიანის სხეულის არაბუნებრივ მოძრაობებზე ყურადღების გამახვილება.

ჩამოთვლილთაგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ I და II.
- (დ) მხოლოდ I და III.
- (ე) მხოლოდ II და III.

18. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს III აზნაციდან?

- (ა) ტყუილის ამოცნობა არის ინდივიდის უნარი, რომელიც მსგავსად ვლინდება ზრდასრულთა და ბავშვთა მიერ ნათქვამი ტყუილის ამოცნობაში.
- (ბ) ტყუილის წარმატებით ამოცნობისათვის ადამიანის ინტელექტის კოეფიციენტს, სქესსა და კულტურულ კუთვნილებას მნიშვნელობა არ აქვს.
- (გ) ქალებს ტყუილის ამოცნობა ზრდასრულების შემთხვევაში უფრო უჭირთ, ვიდრე ბავშვებთან.
- (დ) ტყუილის დადგენა ყველაზე უკეთ შესაძლებელია ბავშვების არავერბალურ ქცევაზე დაკვირვებით.
- (ე) ტყუილის ამოცნობა ტყუილის მთქმელის პიროვნულ თვისებებზე უფრო მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე მის სქესზე.

19. როდის ხდება არავერბალური გადინება?

- (ა) როდესაც ადამიანმა ზუსტად არ იცის, თუ რომელი კუნთების კონტროლია საჭირო არავერბალური ინფორმაციის დასაბლოკად.
- (ბ) როდესაც, ტყუილის თქმისას, არავერბალური სიგნალების აღქმას ჩრდილავს ადამიანის წინასწარი განწყობა.
- (გ) როდესაც არავერბალური სიგნალების ინტენსიური დაბლოკვა ვერბალური შინაარსის დამახინჯებას იწვევს.
- (დ) როდესაც ადამიანი კარგად ართმევს თავს არავერბალური სიგნალების მართვას.
- (ე) როდესაც ადამიანი კონცენტრირებულია ტყუილის შინაარსზე და საკუთარი არავერბალური არხების კონტროლს ვერ ახერხებს.

20. ჩამოთვლილთაგან რომელ მოსაზრებას ამყარებს ტორისის ექსპერიმენტი?

- (ა) რაც უფრო მოტივირებულია ადამიანი ტყუილის სათქმელად, ის მით უფრო მეტად ცდილობს შენიღბოს თავისი ტყუილი.
- (ბ) ადამიანის ქცევის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია დამკვირვებლის წინასწარ განწყობაზე.
- (გ) მომზადებულ დამკვირვებელს არავერბალური სიგნალების უკეთ ინტერპრეტირება შეუძლია.
- (დ) სტრესულ ვითარებაში არავერბალური სიგნალები უფრო სპონტანურად ვლინდება.
- (ე) ტყუილი, ძირითადად, კულტურული და სოციალური ნორმებით არის განპირობებული.

21. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ტყუილის ამოცნობაში, ძირითადად, არავერბალურ სიგნალებზე დაკვირვება გვეხმარება, ვერბალურ დონეზე დაშვებული შეცდომები კი არ არის ინფორმატიული.
- (ბ) გარკვეული ასაკობრივი ჯგუფების შემთხვევაში ტყუილის ამოსაცნობად უფრო ინფორმატიულია ვერბალურ სიგნალებზე დაკვირვება.
- (გ) არავერბალურ სიგნალებზე დაკვირვებით გარკვეული ეთნიკური ჯგუფები, სხვებთან შედარებით, ტყუილის დადგენას უფრო ადვილად ახერხებენ.
- (დ) ტყუილის თანმხლები არავერბალური სიგნალები მეტ-ნაკლებად უნივერსალური ხასიათისაა.
- (ე) სტრესულ გარემოში ტყუილის არავერბალური სიგნალების ცალსახად აღქმა გაძნელებულია.

ტექსტის დასასრული

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----